განახლების თარიღი: ოქტომბერი 2024

წინამდებარე **ზოგადი პირობები** ვრცელდება **ბოლტსა** და **მომხმარებელს** შორის ყველა ურთიერთობაზე, რომელიც დაკავშირებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებასთან *(როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ)*, ასევე ვრცელდება **გაყიდვის ხელშეკრულებებისა** და **მიწოდების ხელშეკრულებების** გარკვეულ ასპექტებზე, რომლებიც დადებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით *(როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ)*. **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** დარეგისტრირებით, **მომხმარებელი** ეთანხმება წინამდებარე **ზოგადი პირობების** გამოყენებას და მის შინაარსს; და ასევე ინფორმირებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** რეგისტრაციისას გამჟღავნებული მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენების შესახებ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიერ, იმ პირობებით, რაც მოცემულია წინამდებარე **ზოგად პირობებში.** თქვენ ასევე ეთანხმებით, რომ თქვენი მონაცემები (მათ შორის, **ბალანსი**) შეიძლება გაზიარდეს **ბოლტის** სხვადასხვა პლატფორმებს შორის (მაგ. სამგზავრო პლატფორმაზე).

1. განმარტებები

ბალანსი	ნიშნავს **მომხმარებლის** ანგარიშის ბალანსს **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** და/ან სამგზავრო პლატფორმაზე, რომელსაც მართავს **ბოლტი.**
ბოლტი	ნიშნავს **„ბოლტ ოფერეიშენს ოუ"-ს** (Bolt Operations OÜ), რეგისტრაციის კოდი: 14532901, მისამართი: ვანა-ლოუნას ქ. 15 (Vana-Lõuna 15), ტალინი 10134, ესტონეთი, ელექტრონული ფოსტა: georgia-food@bolt.eu.
ბოლტის ბიზნეს მომხმარებელი	ნიშნავს პირს ან ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს თავისი კომერციული და/ან პროფესიული უფლება-უნარიანობის ფარგლებში, და რომელიც ადმინისტრირებას უკეთებს და იხდის მისი ავტორიზებული **მომხმარებლების** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენების საფასურს. **ბოლტის ბიზნეს მომხმარებელს** აქვს იგივე უფლებები, რაც **კლიენტს** აქვს წინამდებარე **ზოგადი პირობების** შესაბამისად შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: i) **შეკვეთის** შესახებ ინვოისი ან ქვითარი გაიცემა **ბოლტის ბიზნეს მომხმარებელზე**, თანხის დაბრუნების ჩათვლით *(სადაც ასეთი ხორციელდება)* და ii) **ბოლტის ბიზნეს მომხმარებელს** შეუძლია წარადგინოს პრეტენზიები და მოითხოვოს ინფორმაცია **ბოლტის ბიზნეს ფუნქციის** მეშვეობით შესრულებულ **შეკვეთასთან** დაკავშირებით.
ბოლტის ბიზნეს ფუნქცია	ნიშნავს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მახასიათებელს, რომლის მეშვეობითაც **ბოლტის ბიზნეს მომხმარებლის** პროფილზე ავტორიზებული მომხმარებლის სტატუსის მქონე პირებს შეუძლიათ განათავსონ შეკვეთები **ბოლტის ბიზნეს მომხმარებლის** ხარჯზე.
ბოლტ ფუდის პლატფორმა	ნიშნავს მიწოდების პლატფორმას, რომელიც

	ექვემდებარება (EU) 2019/1150 რეგულაციას და რომელსაც ინფორმაციული საზოგადოებრივი სერვისის ფარგლებში ოპერირებას უწევს **ბოლტი,** რომელიც ფუნქციონირებს როგორც **ციფრული ბაზარი** და რომელიც (i) საშუალებას აძლევს **პარტნიორებს** მოახდინონ **საქონლის** განთავსება მიწოდების ოფციით და დადონ **გაყიდვების ხელშეკრულებები საქონლის კლიენტებისთვის** მიყიდვის მიზნით, (ii) საშუალებას აძლევს **მომხმარებლებს** განათავსონ **საქონლის შეკვეთები პარტნიორთან,** დადონ **გაყიდვების ხელშეკრულებები**, როგორც **კლიენტებმა** და შესაძლებელს ხდის **მიწოდების პარტნიორის** მიერ **შეკვეთის** მიწოდებას, და (iii) **მიწოდების პარტნიორს** აძლევს შესაძლებლობას **კლიენტებს** შესთავაზოს მიტანის სერვისები **საქონლის** მიწოდების მიზნით და დადონ **კლიენტებთან მიწოდების ხელშეკრულება.**
კლიენტი	ნიშნავს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ნებისმიერ მომხმარებელს, რომელმაც განათავსა **შეკვეთა** და გააფორმა **გაყიდვის ხელშეკრულება პარტნიორთან** და **მიწოდების ხელშეკრულება მიწოდების პარტნიორთან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მიწოდების ხელშეკრულება	ნიშნავს **კლიენტსა** და **მიწოდების პარტნიორს** შორის **კლიენტის** მიერ შეკვეთილი **საქონლის** მიწოდების შესახებ შეთანხმებას, რომელიც დადებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით.
მიწოდების საფასური	ნიშნავს **შეკვეთასთან** დაკავშირებული მიწოდების მომსახურების საფასურს, რომელსაც **კლიენტი** უხდის **მიწოდების პარტნიორს მიწოდების ხელშეკრულების** საფუძველზე. **მიწოდების საფასური** გამოითვლება **მე-6 პუნქტში** მოცემული პრინციპების შესაბამისად.
მიწოდების პარტნიორი	ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**, როგორც პირი, რომელიც **კლიენტს** უწევს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით **კლიენტის** მიერ შეკვეთილი **საქონლის** მიწოდების სერვისს.
მიტანის ადგილი	ნიშნავს **შეკვეთაში** მითითებულ მისამართს, სადაც **კლიენტს** სურს მიიღოს შეკვეთილი **საქონელი.**
ზოგადი პირობები	ნიშნავს წინამდებარე პირობებსა და წესებს,

	რომლებიც გამოიყენება **ბოლტსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, **კლიენტის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებასთან დაკავშირებით.
საქონელი	ნიშნავს ნებისმიერ საქონელს, რომელსაც **პარტნიორი** სთავაზობს გასაყიდად **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით.
საქონლის ღირებულება	ნიშნავს ნეტ ღირებულებას (რომელიც მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს, გაყიდვის ან სხვა გადასახადებს, სადაც მსგავსი გადასახადების დარიცხვა ხდება), რომელიც **კლიენტმა** უნდა გადაუხადოს **პარტნიორს** შეკვეთილი **საქონლისთვის.**
ვირტუალური ბაზარი	ნიშნავს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით შექმნილ ვირტუალურ ბაზარს, რომელსაც ოპერირებას უწევს **ბოლტი** და რომელიც საშუალებას აძლევს მონაწილე **პარტნიორებს** თავიანთი **საქონელი** შესთავაზონ **კლიენტებს** ისე, რომ **კლიენტებმა** შეძლონ **საქონლის** შეკვეთა და **პარტნიორთან გაყიდვის ხელშეკრულების** დადება, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში, ისარგებლონ მოთხოვნაზე დაფუძნებული მიტანის სერვისებით, რომლებსაც **ვირტუალური ბაზრის** მეშვეობით **მიტანის პარტნიორები** სთვაზობენ **კლიენტებს.**
მინიმალური შეკვეთის ღირებულება	ნიშნავს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიერ განსაზღვრულ თანხას, რომელიც მიუთითებს მინიმალურად შესაკვეთი **საქონლის ფასზე,** რომელზედაც არ ვრცელდება **მცირე შეკვეთის საფასური.**
შეკვეთა	ნიშნავს **საქონლის** შეკვეთას, რომელიც **კლიენტმა** განათავსა **პარტნიორთან.**
შეკვეთის საფასური	ნიშნავს ფასს, რომელიც **კლიენტმა** უნდა გადაიხადოს **საქონლის** შესაძენად და **შეკვეთის** მიწოდებისთვის *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*.
პარტნიორი	ნიშნავს ნებისმიერი რესტორნის ან მაღაზიის ოპერატორს, რომელთანაც **ბოლტმა** გააფორმა ხელშეკრულება და სადაც ეს შესაბამისია, თითოეულ დაწესებულებას, რომლის მეშვეობითაც ოპერატორი ახორციელებს თავის საქმიანობას.
გაყიდვის ხელშეკრულება	ნიშნავს **კლიენტსა** და **პარტნიორს** შორის შეთანხმებას **საქონლის** გაყიდვის შესახებ, **შეკვეთის** შესაბამისად.
მომხმარებელი	ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელმაც დაარეგისტრირა მომხმარებლის ანგარიში **ბოლტ**

	ფუდის პლატფორმაზე და იყენებს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მომსახურებებს ამ მომხმარებლის ანგარიშის მეშვეობით.
მცირე შეკვეთის საფასური	ნიშნავს **კლიენტის** მიერ **მიწოდების პარტნიორისათვის** გადასახდელ საფასურს, რომელიც განსაზღვრულია **ბოლტ ფუდის პლატფორმით** და გამოიყენება ისეთი **შეკვეთების** მიმართ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ **შეკვეთის მინიმალურ ღირებულებას** 3.3 პუნქტის შესაბამისად.
ბონუსი	ნიშნავს **კლიენტის** მიერ **მიწოდების პარტნიორისათვის** მიტანის სერვისის სანაცვლოდ გადახდილ ნებაყოფლობით თანხას

1.
2. **სამართლებრივი ჩარჩო**
3.
    1. **ბოლტ ფუდის პლატფორმა** საშუალებას აძლევს **კლიენტს** შეუკვეთოს **საქონელი პარტნიორებისგან** და შეუკვეთოს ამ საქონლის მისთვის მიწოდება **მიტანის ადგილზე**.
    2. **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით **საქონლის** გაყიდვისთვის, **გაყიდვის ხელშეკრულება** იდება უშუალოდ **კლიენტსა** და **პარტნიორს** შორის. **შეკვეთის მიწოდებისთვის**, **კლიენტი** დებს **მიწოდების ხელშეკრულებას** უშუალოდ **მიწოდების პარტნიორთან.** იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორს** სურს შესთავაზოს **კლიენტს** საკუთარი მიწოდების სერვისები **საქონლის** მიწოდების მიზნით, **კლიენტი** დებს **მიწოდების ხელშეკრულებას** უშუალოდ **პარტნიორთან** და წინამდებარე **ზოგადი პირობების** შესაბამისად **მიწოდების პარტნიორებისადმი** დადგენილი პირობები **მიწოდების ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით გავრცელდება **პარტნიორზე.** იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** სურს **შეკვეთის** მიწოდება **მიწოდების პარტნიორის** მიერ, **გაყიდვის ხელშეკრულება** ითვლება დადებულად **პარტნიორისა** და **მიწოდების პარტნიორის** მიერ **შეკვეთის** მიღებისა და **კლიენტისთვის შეკვეთის** დადასტურების გაგზავნის მომენტიდან. **კლიენტის** მიერ **შეკვეთის** თავად **კლიენტის** მიერ გატანის შემთხვევაში, **გაყიდვის ხელშეკრულება** დადებულად ითვლება **პარტნიორის** მიერ **შეკვეთის** მიღებისა და **კლიენტისთვის შეკვეთის** დადასტურების გაგზავნის მომენტიდან.
    3. **ბოლტ ფუდის პლატფორმისა** და **ვირტუალური ბაზრის** ოპერირებისას, **ბოლტი** მოქმედებს მხოლოდ როგორც ინფორმაციული საზოგადოებრივი სერვისის მიმწოდებელი და არ არის **გაყიდვის ხელშეკრულების** ან **მიწოდების ხელშეკრულების** მხარე. **ბოლტი** არ არის **საქონლის** მწარმოებელი ან გამყიდველი ან მიწოდების სერვისების მიმწოდებელი და არც ერთი ფორმით არ არის პასუხისმგებელი **გაყიდვის ხელშეკრულების** ან **მიწოდების ხელშეკრულების** შესრულებაზე.
    4. **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებით, **კლიენტი** ადასტურებს, რომ ყველა **მიწოდების პარტნიორი** და/ან **პარტნიორი,** რომელიც სთავაზობს თავის **საქონელს** და მომსახურებას **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით, უფლებამოსილებას ანიჭებს **ბოლტს**, რათა მან იმოქმედოს როგორც **მიწოდების პარტნიორის** და/ან **პარტნიორის** კომერციულმა აგენტმა ნებისმიერ **მიწოდების ხელშეკრულებასთან** და/ან **გაყიდვის ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით. **ბოლტს** უფლება აქვს

მოლაპარაკება აწარმოოს **მიწოდების ხელშეკრულებაზე** და/ან **გაყიდვის ხელშეკრულებაზე კლიენტთან,** მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მიიღოს **მიწოდების საფასური** და/ან **საქონლის საფასური** ან სხვა საფასური, რომელიც გადაიხადა **კლიენტმა** ან **ბოლტის ბიზნეს მომხმარებელმა მიწოდების ხელშეკრულების** და/ან **გაყიდვის ხელშეკრულების** ფარგლებში, იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადახდილია აპლიკაციის მეშვეობით ან, სადაც გამოიყენება, ნაღდი ანგარიშსწორების გზით **მიწოდების პარტნიორთან** ან **პარტნიორთან.**

5. **ბოლტ ფუდის პლატფორმა** ხელმისაწვდომია მხოლოდ 16 წელს მიღწეული და მეტი ასაკის **მომხმარებლებისთვის. მომხმარებელს** არ შეუძლია გამოიყენოს **ბოლტ ფუდის პლატფორმა**, თუ იგი არ შეასრულებს ამ მოთხოვნას. **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებით, **მომხმარებლები,** რომლებიც არიან არასრულწლოვნები, ადასტურებენ, რომ მათ მიიღეს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან ყველა საჭირო თანხმობა **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** წვდომისა და გამოყენებისთვის. **ბოლტი** უშვებს ვარაუდს, რომ არასრულწლოვანებმა, რომლებიც იყენებენ **ბოლტ ფუდის პლატფორმას**, მიიღეს საჭირო თანხმობა მშობლებისგან ან კანონიერი წარმომადგენლისგან.

1. **საქონლის შეკვეთა ბოლტ ფუდის პლატფორმის გამოყენებით**
2.
    1. **კლიენტს** შეუძლია შეარჩიოს და შეუკვეთოს **საქონელი ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორი** ვერ მიაწვდის **საქონელს** შეკვეთის შესაბამისად, **პარტნიორი** არ დაადასტურებს **შეკვეთას ბოლტ ფუდის პლატფორმაზე. პარტნიორს** შეუძლია დაუკავშირდეს **კლიენტს შეკვეთის** ცვლილებებზე შეთანხმების მიზნით, რათა **საქონლის ფასი** იგივე დარჩეს. თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული ან თუ **კლიენტს** მოუწევს ჩანაცვლებული **საქონლისთვის** იმაზე მეტი ან ნაკლები ფასის გადახდა, ვიდრე შეკვეთილი **საქონლის ფასი** იყო, **შეკვეთა** გაუქმდება და **კლიენტს** არ ჩამოეჭრება **შეკვეთის** საფასური ან (სადაც შესაძლებელია) **შეკვეთის საფასური** სრულად დაუბრუნდა **კლიენტს.**
    2. **კლიენტს** უფლება აქვს მიიღოს **საქონელი,** რომელიც შეესაბამება **ბოლტ ფუდის პლატფორმაში** მითითებულ აღწერილობას და ნებისმიერ კონკრეტულ მოთხოვნას (თუ ასეთი შეთანხმებულია). იმ შემთხვევაში, თუ **საქონელი** შეიცავს საკვებს და **კლიენტის** მხრიდან ასეთი საკვების მიმართ ალერგიულ რეაქციაზე ეჭვის ქონის შემთხვევაში, **კლიენტი** უნდა დაუკავშირდეს **პარტნიორს** დამატებითი ინფორმაციისთვის. **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** განთავსებული **საქონლის** ფოტოები შესაძლოა სრულად არ ემთხვეოდეს რეალურ შემოთავაზებულ **საქონელს.**
    3. თუ გამოიყენება **მცირე შეკვეთის საფასური** და **შეკვეთასთან** დაკავშირებული **საქონლის ფასი** დაბალია **მცირე შეკვეთის საფასურზე**, **კლიენტს** შეუძლია ასეთი **შეკვეთის** განთავსება და **ბოლტ ფუდის პლატფორმა** მას დაადასტურებს იმ პირობით, რომ **კლიენტი** გადაუხდის **მცირე შეკვეთის საფასურს მიწოდების პარტნიორს.**
    4. **კლიენტი** უნდა დაემორჩილოს მოქმედ კანონებს, მათ შორის, მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება ალკოჰოლის, თამბაქოს, ენერგეტიკული სასმელების ან ნებისმიერი სხვა პროდუქტის შეძენისას, რომელიც საჭიროებს ასაკის შემოწმებას. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** სურს შეუკვეთოს პროდუქცია, რომელიც მოითხოვს ასაკის შემონწმებას, მან უნდა დაადასტუროს ან/და დაამტკიცოს თავისი ასაკი შეკვეთის პროცესში. გარდა ამისა, **მიწოდების პარტნიორმა**, რომელიც აწვდის შეკვეთას ან/და **პარტნიორმა, კლიენტის** მიერ **შეკვეთის** თავად აღების შემთხვევაში, შეუძლია უარი უთხრას **კლიენტს** ისეთი პროდუქციის გადაცემაზე, რომელიც საჭიროებს ასაკობრივ

შემოწმებას, თუ **კლიენტი** არ წარმოადგენს მოქმედ საიდენტიფიკაციო მოწმობას, რომელიც დაადასტურებს მის ასაკს მსგავსი პროდუქციის ლეგალურად შეძენაზე ან იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ავლენს ინტოქსიკაციის ნიშნებს. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო, **კლიენტს** უარი ეთქვა ასაკობრივ შეზღუდვას დაქვემდებარებული პროდუქტ(ებ)ის მიწოდებაზე, **ბოლტს** უფლება აქვს **კლიენტს** დააკისროს **მიტანის საფასურის** ორმაგი ოდენობა, როგორც კომპენსაცია ასაკობრივ შეზღუდვას დაქვემდებარებული პროდუქტ(ებ)ის უკან **პარტნიორისთვის** დაბრუნებისთვის.

3. **მიწოდების მომსახურების შეკვეთა ბოლტ ფუდის პლატფორმის გამოყენებით**
4.
    1. **შეკვეთის** განთავსებისას, **კლიენტმა** უნდა უზრუნველყოს **მიწოდების პარტნიორის** მიერ მიტანის სერვისის შეკვეთა **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით, რათა მოხდეს **საქონლის** მიწოდება **მიტანის ადგილას** ან, თუ ეს შესაძლებელია, აირჩიოს თავად გატანის ვარიანტი.
    2. **მიწოდების ხელშეკრულების** შესაბამისად, **მიწოდების პარტნიორი შეკვეთის** მიწოდებას განახორციელებს **მიტანის ადგილზე. კლიენტი** და **მიწოდების პარტნიორი** შეიძლება შეთანხმდნენ განსხვავებულ **მიტანის ადგილზე**, იმ პირობით, რომ ახალი მისამართი ახლოს იქნება თავდაპირველ **მიტანის ადგილთან** (არაუმეტეს 1 კმ-ის რადიუსში).
    3. **კლიენტი** უნდა იმყოფებოდეს **მიტანის ადგილზე** მინიმუმ **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** მითითებული **შეკვეთის** მიწოდების სავარაუდო დროს. **კლიენტი** ხელმისაწვდომი უნდა იყოს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით წარდგენილ ტელეფონის ნომერზე ზარების მისაღებად, **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე შეკვეთის** განთავსების მომენტიდან **მიწოდების პარტნიორისგან შეკვეთის** მიღებამდე.
    4. მიწოდების ნებისმიერი დრო ან სხვა სავარაუდო დრო, რომელიც **კლიენტს** ეცნობა **მიწოდების პარტნიორის** ან **ბოლტის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით, არის მხოლოდ სავარაუდო დრო. არ არსებობს გარანტია, რომ **საქონელი** მიწოდებული იქნება ნავარაუდებ დროს. **შეკვეთების** მიწოდების დროზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს ფაქტორებმა, როგორიცაა საცობები, პიკის საათები და მეტეოროლოგიური პირობები.
    5. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ირჩევს **შეკვეთის** თავად გატანის ოფციას, **შეკვეთის** გატანის მიზნით, **კლიენტი პარტნიორის** დაწესებულებაში უნდა მივიდეს **შეკვეთის** გატანისთვის მითითებულ დროს, როგორც ეს მოცემულია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**.
    6. **პარტნიორების** რეიტინგი **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** ეფუძნება **კლიენტების** მიერ დატოვებულ მიმოხილვებს **კლიენტისთვის შეკვეთის** მიწოდების შემდეგ ან, საჭიროების შემთხვევაში, **კლიენტის** მიერ **შეკვეთის** გატანის შემდეგ. **კლიენტს** უფლება აქვს დაუტოვოს მიმოხილვა **პარტნიორს შეკვეთის** შეფასების გზით 1-დან (ცუდი) 5-მდე (გამორჩეული) ქულის ფარგლებში. **კლიენტს** არ შეუძლია შეაფასოს **პარტნიორი** ან დატოვოს მიმოხილვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **კლიენტმა პარტნიორთან** შეუკვეთა **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით.
5. **საჩივრები**
6.
    1. თუ **კლიენტს** აქვს რაიმე პრეტენზია შეკვეთილ **საქონელთან** დაკავშირებით, **კლიენტმა** აღნიშნულზე უნდა აცნობოს **ბოლტს, ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით რაც შეიძლება მალე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა კონკრეტული **შეკვეთის** მიწოდებიდან. **ბოლტს** შეუძლია მოითხოვოს **საქონლის** ფოტოსურათი ან სხვა მტკიცებულება ან საჩივართან დაკავშირებული გარემოებების ახსნა.

2. მიუხედავად იმისა, რომ **ბოლტი** არ არის **საქონლის** მწარმოებელი ან გამყიდველი, არც მიწოდების სერვისების მიმწოდებელი და არ არის პასუხისმგებელი შესაბამის საქონელსა თუ მომსახურებაზე, **ბოლტი** მაინც შეეცდება მოძებნოს საკითხის მეგობრული გადაწყვეტა და შეუძლია უზრუნველყოს იმ თანხის დაბრუნება ან **ბალანსზე** ასახვა, რომელიც კავშირშია საჩივარში აღნიშნულ **შეკვეთასთან** იმ შემთხვევაში, თუ **ბოლტს** აქვს საფუძვლიანი საფუძველი იფიქროს, რომ საჩივარი დასაბუთებულია.
3. **კლიენტს** ასევე შეუძლია საჩივრების გაგზავნა უშუალოდ **პარტნიორთან** ან **მიწოდების პარტნიორთან.**
4. **კლიენტს** შეუძლია დაუკავშირდეს ბოლტის მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილებას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** არსებული ჩატის ფუნქციის მეშვეობით, სადაც **კლიენტს** შეუძლია ნახოს ღია ჩატები და კომუნიკაციის ისტორია, თარიღისა და დროის ჩათვლით, ჩატის შექმნის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

7. **გადახდები და ინვოისები**
8.
    1. **კლიენტმა** უნდა გადაუხადოს **პარტნიორს საქონლის საფასური ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** მითითებული ოდენობით. **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** მითითებული **საქონლის საფასური** შეიძლება განსხვავდებოდეს **პარტნიორის** დაწესებულებაში არსებული ფასებისგან. **საქონლის საფასური ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** შეიძლება დროდადრო შეიცვალოს **შეკვეთის** გაკეთებამდე.
    2. **კლიენტმა მიწოდების პარტნიორს მიწოდების საფასური** უნდა გადაუხადოს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიერ გამოთვლილი ოდენობით. **მიწოდების საფასური** გამოითვლება მიტანის დროის, მიწოდების მარშრუტის სიგრძის, მიტანის საშუალებების და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. **მიწოდების საფასური კლიენტს** მიეთითება **შეკვეთის** დადასტურებამდე. **მიწოდების საფასურის** გარდა, **კლიენტს** ასევე შეუძლია **მიწოდების პარტნიორს** გადაუხადოს **ბონუსი ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით. **მიწოდების საფასურის** გაანგარიშების დეტალები შეიძლება დროდადრო დარეგულირდეს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიერ ბაზრის მდგომარეობის, **ვირტუალურ ბაზარზე მიწოდების პარტნიორების** ხელმისაწვდომობისა და სერვისთან დაკავშირებული სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **მიწოდების საფასური** შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა ტიპის საკომისიოსგან (მომსახურების საფასურის ჩათვლით).
    3. **ბოლტს** უფლება აქვს დაადგინოს **მცირე შეკვეთის საფასური** 3.3 პუნქტის შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში, **კლიენტი** გადაუხდის **მცირე შეკვეთის საფასურს მიწოდების პარტნიორს.**
    4. **ბოლტს,** რომელიც მოქმედებს როგორც **პარტნიორის** და **მიწოდების პარტნიორის** კომერციული აგენტი, შეუძლია მოამზადოს და გასცეს კლიენტზე საქონლის ფასის საინფორმაციო ქვითრები **პარტნიორის** სახელით, ხოლო **მიწოდების პარტნიორის** სახელით გასცეს საინფორმაციო ქვითრები **მიწოდების საფასურთან** და (სადაც შესაძლებელია) **მცირე შეკვეთის საფასურთან** და/ან **ბონუსებთან** დაკავშირებით და მიიღოს **კლიენტის** გადახდა სალარო აპარატის ქვითრების მეშვეობით **პარტნიორისა** და **მიწოდების პარტნიორის** სახელით.
    5. ყველა გადახდა მუშავდება **კლიენტის** საგადახდო ბარათიდან ან **კლიენტის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** გააქტიურებული გადახდის სხვა მეთოდებიდან, გარდა ნაღდი ანგარიშსწორებისა. გადახდები მუშავდება საგადახდო პროვაიდერი მესამე მხარის მიერ. **შეკვეთის** დადასტურებისთანავე **კლიენტი** ახდენს გადახდის ავტორიზებას საკუთარი საგადახდო ბარათის მეშვეობით ან სხვა შესაბამისი გადახდის მეთოდის გამოყენებით, **შეკვეთის ფასის** ოდენობით, და მოხდება შესაბამისი თანხის

დარეზერვება საგადახდო ბარათზე ან გადახდის სხვა საშუალებებზე. **შეკვეთასთან** დაკავშირებული გადახდა შესრულდება და თანხა **კლიენტის** საგადახდო ბარათიდან ან გადახდის სხვა მეთოდებიდან ჩამოიჭრება **შეკვეთის** დადასტურებიდან 72 საათის განმავლობაში.

6. **კლიენტის** გადახდის ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს **გაყიდვის ხელშეკრულებიდან** და **მიწოდების ხელშეკრულებიდან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესრულებულად ითვლება, შესაბამისად, **პარტნიორისა** და **მიწოდების პარტნიორის** მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), როდესაც გადახდა შესრულებულია **ბოლტისთვის** და ჩარიცხულია **კლიენტის** საგადახდო ბარათიდან ან განხორციელებულია სხვა დასაშვები გადახდის მეთოდით (მაგ. ბოლტ ბიზნესის ფუნქციით) ან, როდესაც **კლიენტმა შეკვეთის საფასური** სრულად გადაიხადა **მიწოდების პარტნიორთან** ნაღდი ანგარიშსწორებით **შეკვეთის** მიტანისას ან **კლიენტმა** გადაუხადა **შეკვეთის საფასური** უშუალოდ **პარტნიორს,** თვით-გატანის სერვისით საგებლობის შემთხვევაში. თუ **შეკვეთის საფასურის** დარეზერვება შეუძლებელია **კლიენტის** საგადახდო ბარათზე, **შეკვეთა პარტნიორს** არ გადაეგზავნება, გარდა **კლიენტის** მიერ ნაღდი ანგარიშსწორებისა **მიწოდების პარტნიორთან შეკვეთის** მიტანისას ან უშუალოდ **პარტნიორთან** გადახდის შემთხვევაში, თვით-გატანის სერვისის შემთხვევაში.
7. **ბოლტმა** შეიძლება განათავსოს **კლიენტისთვის შეკვეთის საფასურის** ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის ვარიანტი, რომლის გადახდაც **კლიენტს** შეუძლია უშუალოდ **მიწოდების პარტნიორისთვის, შეკვეთის** მიტანისას. ასეთ შემთხვევაში, **კლიენტი** გადაუხდის **შეკვეთის საფასურს მიწოდების პარტნიორს** ნაღდი ანგარიშსწორებით, **შეკვეთის** მოთხოვნილ **ადგილზე** მიტანისას. **ბოლტს** შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, შეზღუდოს ნაღდი ანგარიშსწორება კონკრეტული **კლიენტისთვის.**
8. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში, **მიწოდების პარტნიორი** ვალდებულია ნაღდი ანგარიშსწორებით მიღებული თანხა შემოიტანოს **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.** იმ შემთხვევაში, თუ თანხა არ შეესაბამება **კლიენტის** მიერ **გაყიდვის ხელშეკრულებიდან** და **მიწოდების ხელშეკრულებიდან** გამომდინარე გადახდის ვალდებულებებს, მაშინ **ბალანსი** ავტომატურად:
9.
    1. შემცირდება **შეკვეთის საფასურს** დაკლებული თანხის პროპორციულად ან **შეკვეთის** სრული საფასურის ოდენობით (მაგ. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ იმყოფება **მიტანის ადგილზე** 7.2 ნაწილის მიხედვით, **კლიენტი** უარს ამბობს გადახდაზე და ა.შ.);
    2. გაიზრდება **შეკვეთის საფასურზე** ზედმეტად გადახდილი თანხის პროპორციულად.
10. **ბალანსი** ავტომატურად ამოქმედდება **შეკვეთის** განთავსებისას. **ბალანსის** გაცვლა ნაღდ ფულში შეუძლებელია.
11. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტები (ანუ საქონელი) გაიყიდება წონით, ნებისმიერი ფასი თითო პროდუქტზე, რომელიც ნაჩვენებია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე,** არის მხოლოდ **პარტნიორის** მიერ მოცემული სავარაუდო ფასი. წონაზე დაფუძნებული **პროდუქტის** საბოლოო ფასი **შეკვეთაში** ჩამოყალიბდება და ჩამოიჭრება **შეკვეთით** მიღებული **პროდუქტის** რეალური წონის მიხედვით. წონის ცვალებადობით გამოწვეული ფასის შესაძლო კორექტირების დასაფარად, **ბოლტმა** შეიძლება დროებით დააკავოს თანხა **კლიენტის** გადახდის ბარათზე. დროებით დაკავებული ოდენობა იქნება **კლიენტის შეკვეთაში** შეტანილი წონაზე დაფუძნებული პროდუქტების ღირებულების მაქსიმუმ 20%. იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთილი

პროდუქტი იწონის იმაზე ნაკლებს, ვიდრე მითითებულია **შეკვეთის** დადასტურებაში, **ბოლტი** დაუბრუნებს **კლიენტს** ფასის სხვაობას. იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთილი პროდუქტი იწონის იმაზე მეტს, ვიდრე მითითებულია **შეკვეთის** დადასტურებაში, **ბოლტი** დააკისრებს ფასის სხვაობას **კლიენტის** გადახდის ბარათზე დაკავებული თანხიდან. დროებით დაკავებული თანხის ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ არის საჭირო ფასის კორექტირებისთვის, დაბრუნდება კლიენტის ბარათზე.

12. **ბოლტს,** თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია გააკეთოს სარეკლამო შეთავაზებები და ფასდაკლებები **საქონლის ფასთან** ან **მიწოდების საფასურთან** დაკავშირებით.
13. ამ **ზოგად პირობებზე** დათანხმებით **კლიენტი** პირდაპირ ეთანხმება ელექტრონული ინვოისების მიღებას. ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურები გაიცემა და მიიღება ნებისმიერ ელექტრონულ ფორმატში, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით PDF ფორმატში თანდართული დოკუმენტით.

9. **შეკვეთის გაუქმება, გამოყენების უფლების გაუქმება და შეჩერება**
10.
    1. **კლიენტს** შეუძლია გააუქმოს შეკვეთა, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა **ბოლტ ფუდის პლატფორმა**, ამავე პლატფორმით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, **ბოლტმა, პარტნიორმა** და/ან **მიწოდების პარტნიორმა** შეიძლება გააუქმოს **შეკვეთა** და, ასეთ შემთხვევებში, **კლიენტს** უფლება აქვს სრულად დაიბრუნოს თანხა, გარდა 3.4 და 7.2 პუნქტებში მოცემული შემთხვევებისა.
    2. **ბოლტს**, **მიწოდების პარტნიორის** სახელით, შეუძლია გააუქმოს **შეკვეთა** და დააკისროს **კლიენტს** ან შეამციროს **კლიენტის ბალანსი შეკვეთის** სრული ღირებულების ოდენობით შემდეგ შემთხვევებში:
    3.
        1. **კლიენტი** მიუწვდომელია **მიტანის ადგილზე მიწოდების პარტნიორის** მისვლიდან 10 წუთის განმავლობაში;
        2. **კლიენტის** მიერ მოწოდებული ტელეფონის ნომერს **მიწოდების პარტნიორი** ვერ დაუკავშირდება **მიწოდების პარტნიორის მიტანის ადგილზე** მისვლიდან 10 წუთის განმავლობაში;

ან

1. **კლიენტი** და **მიწოდების პარტნიორი** ვერ შეთანხმდებიან მიტანის ახალ მისამართზე 4.2 პუნქტის შესაბამისად.
2. **ბოლტი** უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს **კლიენტის** წვდომა **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** ან შეწყვიტოს ამ **ზოგადი პირობებით** სარგებლობა მყისიერად და/ან უარი თქვას ან გააუქმოს ნებისმიერი **შეკვეთა,** თუ **კლიენტი** მიაყენებს რაიმე შეურაცხყოფას ან ზიანს **ბოლტ ფუდის პლატფორმას,** თუ **ბოლტს** აქვს გონივრული რწმენა **კლიენტის** მიერ თაღლითური ქმედებების შესახებ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებისას, ან თუ **კლიენტი** სხვაგვარად ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს წინამდებარე **ზოგადი პირობების** შესაბამისად (მაგ., რამდენჯერმე არ იმყოფებოდა **მიტანის ადგილზე,** 7.2 პუნქტის მიხედვით). **ბოლტ ფუდის პლატფორმისგან** მომხმარებლის პროფილის შეჩერება ან შეწყვეტა ნიშნავს ასევე შეჩერებას ან შეწყვეტას **ბოლტის** სხვა პლატფორმებიდანაც (მაგ. სამგზავრო პლატფორმა).
3. **კლიენტმა** არ უნდა გამოიყენოს **ბოლტ ფუდის პლატფორმა** ფულის გათეთრების მიზნებისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კრიმინალური აქტივობისთვის (როგორც ამას განსაზღვრავს **ბოლტი** საკუთარი შეხედულებისამებრ). თუ **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე 7.4 პუნქტს, **ბოლტი** შეწყვეტს ამ **ზოგად პირობებს კლიენტთან** და ასევე აცნობებს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.
4. **ლიცენზია, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და მონაცემთა დამუშავება**
5.

1. **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** დარეგისტრირებით, **ბოლტი მომხმარებელს** ანიჭებს გამოხმობად, არაექსკლუზიურ, არაგადაცემად, არაქველიცენზირებად ლიცენზიას, გამოიყენოს **ბოლტ ფუდის პლატფორმა საქონლის** შეკვეთისა და **შეკვეთების** მიწოდების მიზნით.
2. ყველა ინტელექტუალური საკუთრების უფლება პროგრამულ უზრუნველყოფაზე, დოკუმენტაციასა ან ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც გამოყენებულ იქნა ან შემუშავდა **ბოლტის** მიერ ან მისი სახელით, ინფორმაციული საზოგადოებრივი სერვისების მიწოდების დროს წინამდებარე **ზოგადი პირობების** (მათ შორის, **ბოლტ ფუდის პლატფორმა** და მასში ატვირთული ნებისმიერი მასალა) შესაბამისად, ეკუთვნის **ბოლტს** (ან ზოგჯერ, შეზღუდულ ფარგლებში, **პარტნიორს**). **მომხმარებელმა** არ უნდა დააკოპიროს, შეცვალოს, ადაპტირება მოახდინოს, შეუცვალოს ინჟინერია, მოახდინოს დანაწევრება ან სხვაგვარად აღმოაჩინოს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** საწყისი კოდი ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის, რომელსაც იყენებს **ბოლტი** ან ამოიღოს ან გამოიყენოს რაიმე მონაცემი **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** კომერციული მიზნებისთვის ან სხვა მიზნით, ვიდრე **საქონლის** შეკვეთაა. **მომხმარებელი** გამოიყენებს **ბოლტ ფუდის პლატფორმას** მხოლოდ თავისი პირადი, არაკომერციული მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოიყენება **ბოლტ ბიზნესის ფუნქციონალი.**
3. **ბოლტის** მიერ **მომხმარებლებისა** და **კლიენტების** პერსონალური მონაცემების დამუშავება რეგულირებულია **კონფიდენციალურობის პოლიტიკით,** რომელზეც წვდომა შესაძლებელია **ბოლტ ფუდის პლატფორმიდან** შემდეგი ბმულის საშუალებით: https://bolt.eu/en-ee/privacy/.
4. **ბოლტი** არ იძლევა რაიმე პირობას, გარანტიას ან განცხადებას **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ხარისხთან დაკავშირებით, მათ შორის აშკარა ან ფარული დეფექტების არარსებობის, ჩვეულებრივი ან კონკრეტული (სპეციალური) მიზნისთვის ვარგისიანობის შესახებ და **ბოლტი** არ არის ვალდებული, დააკმაყოფილოს **მომხმარებლის** პრეტენზიები **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ხარისხთან დაკავშირებით.
5. **მომხმარებლებს** პირდაპირ ეკრძალებათ რაიმე ფორმით (მექანიკური ან ავტომატიზირებული) ჩაერთონ მონაცემთა ამოღების, მონაცემთა მოპოვების ან მონაცემების ნებისმიერი ავტომატური საშუალებებით შეგროვებაში **ბოლტ ფუდის პლატფორმიდან,** მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, კომპიუტერული ბოტების, ე.წ. ობობების, მცოცავების გამოყენებით, ან ნებისმიერი სხვა ავტომატური საშუალებით.

6. **პასუხისმგებლობა**
7.
    1. მხოლოდ **პარტნიორი** არის პასუხისმგებელი **შეკვეთილი საქონლის** ხარისხთან დაკავშირებით და რაოდენობის ხარვეზებზე ან სხვა ხარვეზებზე **გაყიდვის ხელშეკრულების** შესრულებასთან კავშირში და **ბოლტი** არ იღებს პასუხისმგებლობას აღნიშნულზე (მათ შორის, პასუხისმგებლობას საკვების მიმართ ალერგიული რეაქციების ან ჯანმრთელობის სხვა პრობლემების გამო).
    2. მხოლოდ **მიწოდების პარტნიორები** არიან პასუხისმგებელი **მიწოდების ხელშეკრულების** შესრულებაზე და **ბოლტი** არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას აღნიშნულზე.
    3. თუ **მომხმარებელი** ეჭვობს, რომ მისი გადახდის ბარათი, რომელიც დაკავშირებულია მის ანგარიშთან **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე,** მოიპარეს და/ან თაღლითურად გამოიყენება მესამე მხარის მიერ, **მომხმარებელმა** დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს **ბოლტს** ამის შესახებ. ასეთი შეტყობინების მიღებამდე, **ბოლტი** არ იქნება

პასუხისმგებელი **მომხმარებლის** საგადახდო ბარათის თაღლითური გამოყენებისთვის მესამე მხარის მიერ.

4. **ბოლტ ფუდის პლატფორმა მომხმარებელს** მიეწოდება იმ ფორმით, „როგორც არის“. **ბოლტი** არ იქნება პასუხისმგებელი **ბოლტ ფუდის პლატფორმის** რაიმე შეფერხებაზე, კავშირის შეცდომებზე, ხელმისაწვდომობაზე ან გაუმართაობაზე, თუმცა, **ბოლტი** არ ზღუდავს **კლიენტის** უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** სერვისები შეუსაბამობაში იქნება ამ ზოგად პირობებთან. გარდა ამისა, **ბოლტი** უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ შემოიტანოს ახალი და/ან შეწყვიტოს არსებული ფუნქციების გამოყენება **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**. **ბოლტი კლიენტებს** შეატყობინებს ასეთი შეწყვეტის შესახებ.
5. **მომხმარებელი** აღიარებს, რომ სმარტფონის ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობის ტექნიკის ან ოპერაციული სისტემის დონეზე მანიპულირება, ჩარევა ან შეცვლა ნებისმიერი ფორმით, რომელიც ეწინააღმდეგება მწარმოებლის ინსტრუქციებს, ხდის მოწყობილობას კიბერ საფრთხეებისადმი მიდრეკილს. გარდა ამისა, **მომხმარებელი** აღიარებს, რომ ყალბი მოწყობილობების და სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც ცდილობენ **ბოლტის** სისტემებთან კომუნიკაციას, დაუშვებელია. **მომხმარებელი** აღიარებს, რომ **ბოლტი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე ასეთი შეცვლილი მოწყობილობის ან ყალბი მოწყობილობების და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, და რომ **ბოლტს** არ აქვს რაიმე ვალდებულება, მხარი დაუჭიროს ამ მოწყობილობის გამოყენებას.

8. **სხვადასხვა**
9.

1. **კლიენტს** აქვს კანონიერი უფლება, უარი თქვას **გაყიდვის ხელშეკრულებაზე** 2011/83/EU დირექტივის შესაბამისად, ამავე დირექტივაში ჩამოთვლილ საქონელთან მიმართებით, **შეკვეთის** თარიღიდან 14 დღის განმავლობაში ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე. თუ **კლიენტს** სურს უარი თქვას ასეთი **საქონელზე, კლიენტს** შეუძლია ან (i) გამოიყენოს დანართი 1-ში მოცემული უარის თქმის ფორმა, ან (ii) გააკეთოს ნებისმიერი სხვა ცალსახა განცხადება **ბოლტთან** დაკავშირების გზით, რომელიც მიუთითებს ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილებაზე ასეთ **საქონელთან** მიმართებით.
2. **ბოლტი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილებები **ზოგად პირობებში**, განახლებული **ზოგადი პირობების ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** ატვირთვის გზით და აცნობოს ყველა **მომხმარებელს,** ვინც დარეგისტრირდა **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**, რეგისტრაციისას **მომხმარებლის** მიერ მოწოდებული ელ. ფოსტის მეშვეობით.
3. **ბოლტს** შეუძლია შეცვალოს ან წაშალოს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** სხვადასხვა ნაწილი ან შეცვალოს **ბოლტ ფუდის პლატფორმა**, მისი მახასიათებლები და **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** მონაწილე **პარტნიორების** შერჩევის საკითხი, ნაწილობრივ ან მთლიანად, ნებისმიერ დროს წინასწარი შეტყობინების გარეშე.
4. **მომხმარებელს ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** წვდომა შეუძლია მხოლოდ ინტერნეტით. ინტერნეტთან დაკავშირების სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნები არ არსებობს, თუმცა **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მომსახურების ხარისხზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ინტერნეტის სიჩქარემ. **ბოლტ ფუდის პლატფორმა** ხელმისაწვდომია Android და Apple მოწყობილობებზე უახლესი პროგრამული განახლებების გამოყენებით.
5. **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე მომხმარებლის** ანგარიშის შექმნისას, **მომხმარებლის** ტელეფონის ნომერი უკავშირდება **მომხმარებლის** ანგარიშს და ემატება **ბოლტის**

მონაცემთა ბაზას. თუ **მომხმარებელი** განაახლებს თავის ტელეფონის ნომერს **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** ანგარიშის შექმნის შემდეგ და სურს გააგრძელოს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენება, **მომხმარებელმა** უნდა აცნობოს **ბოლტს** განახლებული ტელეფონის ნომრის შესახებ რაც შეიძლება მოკლე დროში. ტელეფონის ნომრის განახლების შემდეგ **მომხმარებელი ბოლტისგან** მიიღებს დადასტურების მოთხოვნას მის ახალ ტელეფონის ნომერზე SMS ან სხვა საშუალებით. შემდეგ **მომხმარებელმა** უნდა გადაამოწმოს თავისი ახალი ტელეფონის ნომერი SMS-ში მითითებული ან **ბოლტის** მიერ გაგზავნილი ინსტრუქციის შესაბამისად. ტელეფონის ნომრის დადასტურების შემდეგ, ის ავტომატურად განახლდება **მომხმარებლის** პროფილზე. როდესაც **მომხმარებელი** განაახლებს თავის პირად ინფორმაციას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**, ცვლილებები ასევე ვრცელდება **ბოლტის** სხვა პლატფორმებზე (მათ შორის, სამგზავრო პლატფორმაზეც). თუ **მომხმარებელი** შეწყვეტს მის ანგარიშთან დაკავშირებული ტელეფონის ნომრით სარგებლობას და არ სურს მისი განახლება **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**, **მომხმარებელმა** უნდა შეწყვიტოს ამ **ზოგადი პირობებით** სარგებლობა და ამის შემდეგ, **მომხმარებლის** ანგარიში გაუქმდება. ამ **ზოგადი პირობების** შეწყვეტა და ანგარიშის გამორთვა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო არ აბრკოლებს **მომხმარებელს** შექმნას ახალი ანგარიში **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** სწორი ტელეფონის ნომრის გამოყენებით.

6. **ბოლტ ფუდის პლატფორმა** ხელმისაწვდომია მრავალ ენაზე, რომელიც შეიძლება შეიცვალოს **მომხმარებლის** პროფილში.
7. **ბოლტს** შეუძლია თვალყური ადევნოს **კლიენტის** მოწყობილობის მდებარეობას **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით. შეიძლება არსებობდეს შეზღუდვები **ბოლტ ფუდის პლატფორმის** სერვისების მიწოდებაზე **მომხმარებლის** მოწყობილობის მდებარეობიდან გამომდინარე. ეს შეზღუდვები თვალსაჩინოა **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ინტერფეისის მეშვეობით (მაგ., ხელმისაწვდომი პარტნიორების მდებარეობის მიხედვით). **ბოლტი** არ უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას ყველა იურისდიქციაში. ვინაიდან **ბოლტის** სერვისების ხელმისაწვდომობა შეიძლება დროდადრო შეიცვალოს, არ არსებობს იმ იურისდიქციების კონკრეტული სია, სადაც შეიძლება **ბოლტის** მომსახურება იყოს ხელმისაწვდომი.
8. **ბოლტი** უზრუნველყოფს სერვისებს, რომლებიც შექმნილია, მიწოდებულია და შესაბამისობაშია ინდუსტრიის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან, როგორიცაა ISO 27001/27002, როდესაც ეს შესაძლებელია და არ ეწინააღმდეგება სხვა შეთანხმებულ მოთხოვნებს.
9. **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენება და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება ესტონეთის კანონმდებლობით. გამოსაყენებლი სამართლის არჩევის შეზღუდვისა და სავალდებულო დებულებების გამოყენების შესახებ ნორმატიული დებულებები, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოში, სადაც **მომხმარებელს** აქვს მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი, როგორც მომხმარებელს, დარჩება უცვლელი (მუხლი 6 (1) რომი I რეგულაცია).
10. თუ ამ **ზოგადი პირობებიდან** გამომდინარე შესაბამისი დავა ვერ გადაწყდება მოლაპარაკებებით, მაშინ დავა საბოლოოდ გადაწყდება ჰარიუს საოლქო სასამართლოში (Harju County Court) ტალინში, ესტონეთი. თუ **მომხმარებელი** იცვლის საცხოვრებელ ადგილს ან ჩვეულ საცხოვრებელ ადგილს ესტონეთიდან ან **კლიენტის** საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის საჩივრის განხილვის დროს, ექსკლუზიური იურისდიქციის ადგილი იქნება **ბოლტის** რეგისტრირებული ოფისი (ტალინი, ესტონეთი).
11. თუ არსებობს დავა **კლიენტსა** და **პარტნიორს** შორის ან **მიწოდების პარტნიორს** შორის, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**,

კლიენტს შეუძლია გამოიყენოს **ბოლტის** უფასო შიდა საჩივრების სისტემა.

12. თუ ამ **ზოგადი პირობების** ვერსიები არსებობს ნებისმიერ სხვა ენაზე, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ვერსიას.

დანართი 1
უარის თქმის ფორმა

ვის: ბოლტ ოფერეიშენს ოუ (Bolt Operations OÜ) (ვანა-ლოუნა 15, ტალინი, 10134, ესტონეთი, georgia-food@bolt.eu)
წინამდებარე ფორმის საფუძველზე, გაცნობებთ, რომ უარს ვამბობ შემდეგ გაყიდვის ხელშეკრულებაზე:
შეკვეთა: [შეივსება კლიენტის მიერ]
კლიენტის სახელი: [შეივსება კლიენტის მიერ]
კლიენტის მისამართი: [შეივსება კლიენტის მიერ]
კლიენტის ხელმოწერა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფორმა მეორე მხარისათვის მიწოდებულია ფურცელზე ამობეჭდილი სახით):
თარიღი: [შეივსება კლიენტის მიერ]